ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №/57/3

თბილისი „18“ „10“ 2013 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს. “ჯითიეს ელექტრონიქსი” შემდგომში „მიმწოდებელი“ დირექტორის ნინო ქოჩიაშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2013 წლის ასიგნებების ფარგლებში, გენერატორის შეკეთების მომსახურების შესყიდვაზე (კლასიფიკატორის კოდი 50500000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 520 (ხუთასოცი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 სამინისტროს კუთვნილი გენერატორისთვის ძრავის ზეთის, ზეთის ფილტრისა და საწვავის ფილტრის გამოცვლა.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან – 2013 წლის 26 ოქტომბრამდე.

4.2. ადგილი:

4.2.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად წინამდებარე ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორების მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1-ით) სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა (დანართი №1) და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი სარჯით.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი
არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებიტ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორები სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ზურაბ ტყემალაძე და სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი ვახტანგ ფხალაძე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 26 ნოემბრამდე.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეული მომსახურების
მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „ —— “ ———— 2013 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ბატონი ----------

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი:

(ორგანიზაციის დასახელება)

(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ:

2013 წლის „ “ „ “ № ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

---------- თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებამ

(თვის დასახელება)

შეადგინა

(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

შესრულებული სამუშაოს ღირებულება, ანაზღაურებულია ----------

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება მიიღო

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი

ბ. ა.

მომსახურება ჩააბარა

1. ხელმძღვანელი
2. მთავარი ბუღალტერი

ბ. ა.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„12“ „10“ 2013 წ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ რომ, შ.პ.ს. “ჯითიეს ელექტრონიქსის” მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

დ. ლომიძე

თ. სინჯიაშვილი

გ. კაკუშაძე

შ. ბაღაშვილი

ზ. ტყემალაძე

ვ. ფხალაძე

ლ. სარია